ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 40

23 იანვარი, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

თამარ ჩახვაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

1.ირაკლი ჭანტურიძე - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელი

2. ნანული ლოლაძე

3. თამაზ გორდელაძე

4. თამთა ირემაძე

5. დავით წიკლაური

6. ნინო მუსერიძე

7. ნატო ნიჟარაძე

8. თამარ უგრეხელიძე

9. მაყვალა უგრეხელიძე

10. დათო ქორიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. **ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ერეკლე II მოედანთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოეტის ტერენტი გრანელის სახელის მინიჭების შესახებ**
2. **ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან VII კვარტალში კორპ. N3 მიმდებარედ არსებული უსახელო სკვერისთვის ექიმის იოსებ ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ**
3. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ერთი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის ოფიცრის გენო ქარუმიძის სახელის მინიჭების შესახებ**
4. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იუნკერ ოთარ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების შესახებ**

5. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მეფე მირიანის ქუჩისთვის მირიან მეფის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის I შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კალათბურთელის ვლადიმერ უგრეხელიძის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ნინო წერეთლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გენერალ მაიორის, ადმირალის გიგლა ირემაძის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მარიამ დადიანი-ანჩაბაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებროლის მიხეილ ქორიძის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხევძმარის ქუჩის ორი მონაკვეთისთვის ლევან ჭოჭუას I და II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მაჩაბლის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის გიორგი მაჩაბლის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი.

1. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ერეკლე II მოედანთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოეტის ტერენტი გრანელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს გაგაცნო პირველი საკითხი. კომისიაში შემოსულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანის, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის წერილი, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს მიმდებარედ არსებული სკვერისთვის ქართველი პოეტის, ტერენტი გრანელის სახელის მინიჭებას ეხება.

როგორც შემოსული წერილიდან ირკვევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სურვილია, რომ სკვერს მიენიჭოს ტერენტი გრანელის სახელი. დეკანოზის განცხადებით საპატრიარქო შეეცდება სივრცე ახალგაზრდების, მოსახლეობისა და ტურისტებისთვის სულიერი დატვირთვის მქონე მნიშვნელოვან ადგილად იქცეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პირველი საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, ერეკლე II მოედანთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს პოეტ ტერენტი გრანელის სახელი.

2. **ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან VII კვარტალში კორპ. N3 მიმდებარედ არსებული უსახელო სკვერისთვის ექიმის იოსებ ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე საკითხი. კომისიაში შემოსულია მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას წერილი, რომლითაც შუამდგომლობს შპს „ენ ენ სტარის" დირექტორს ნატო ნიჟარაძეს, რომელიც ითხოვს თბილისში ერთ-ერთ სკვერს მიენიჭოს ექიმის იოსებ ჟორდანიას სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. იოსებ ჟორდანიას დიდი ღვაწლი აქვს საქართველოში გინეკოლოგიისა და რეპროდუქტოლოგიის განვითარებაში. მისი თაოსნობით თბილისში დაარსდა მსოფლიოში პირველად ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ იოსებ ჟორდანიას სახელობის გახდა.

იოსებ ჟორდანია დაიღუპა რიო-დე-ჟანეიროში ავიკატასტროფისას, როდესაც სამაშველო ჟილეტი უბილეთო მგზავრ გოგონას დაუთმო. მისი მოღვაწეობა და ადამიანური გმირობა ნამდვილად იმსახურებს, რომ დედაქალაქში არსებობდეს იოსებ ჟორდანიას სახელობის სკვერი.

სკვერის შერჩევის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული დაინტერესებული პირები და შპს „ენ ენ სტარის" წარმომადგენლები.

აზრი გამოთქვა: საკითხის განხილვას ესწრებოდნენ ნატო ნიჟარაძე და ნინო მუსერიძე. მათ ისაუბრეს იოსებ ჟორდანიას ღვაწლზე და დამსახურებაზე, მის პიროვნულ ღირსებებზე და მიღწევებზე მედიცინაში. დასასრულს მადლობა გადაუხადეს კომისიას აღნიშნული სახელდებისთვის.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან VII კვარტალში კორპ. N3 მიმდებარედ არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს ექიმის იოსებ ჟორდანიას სახელი.

3. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ერთი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის ოფიცრის გენო ქარუმიძის სახელის მინიჭების შესახებ**
4. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იუნკერ ოთარ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების შესახებ;**

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო მესამე და მეოთხე საკითხები. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე ფრიდონ მჭედლიძის მიმართვის საფუძველზე ითხოვს საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით, უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს, ტაბახმელაში იუნკერთა ქუჩასთან, რომელთანაც განვითარებულია ერთი ჩიხი და ერთი გასასვლელი, ასევე აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტია არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან.

სახელის შერჩევისას კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სახელდება განხორციელდეს თემატური კონტექსტის გათვალისწინებით, რადგან უსახელო გეოგრაფიული ობიექტები მდებარეობს იუნკერთა და მაიორ არჯევან ანანიაშვილის ქუჩებთან კომისიამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მესამე და მეოთხე საკითხები.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას, ერთ ჩიხს და ერთ გასასვლელს მიენიჭოს ოფიცრის გენო ქარუმიძის სახელი.

მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს იუნკერ ოთარ ლორთქიფანიძის სახელი.

5. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მეფე მირიანის ქუჩისთვის მირიან მეფის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით თბილისის ისტორიულ ნაწილში და ქალაქთან შემოერთებულ ტერიტორიებში არის არაერთი ქუჩა, რომელიც ქართველ მეფეთა სახელებს ატარებს. ხსენებული ქუჩების ნაწილის სახელწოდებები ფორმულირებულია მხოლოდ საკუთარი სახელით ან ზედწოდებით (მაგ.: დავით აღმაშენებელი), ხოლო ქუჩათა ნაწილის ფორმულირებებში გამოყენებულია წოდების აღმნიშვნელი სიტყვა "მეფე".

სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პოზიციით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებების აღმნიშვნელ აბრებზე "მეფე" და "დედოფალი" მსაზღვრელ სიტყვებთან ერთად სალიტერატურო ენის ნორმათა შესაბამისად უნდა იყოს გამოყენებული, როგორც მირიან მეფის ქუჩა. ხდება არასწორი ფორმის ჩასწორება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, მეფე მირიანის ქუჩას მიენიჭოს მირიან მეფის სახელი.

6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის I შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კალათბურთელის ვლადიმერ უგრეხელიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში მოქალაქე მაყვალა უგრეხელიძის, ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მომართვის საფუძველზე მიმდინარეობს საქმისწარმოების პროცესი, ერთ-ერთი ქუჩისთვის ქართველი კალათბურთელის ვლადიმერ უგრეხელიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლის მიმდებარედ უნივერსიტეტის I შესახვევი განვითარებულია და მისი გეგმარებითი პარამეტრები იძლევა ქუჩად ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ობიექტი მოწონებული იქნა ვლადიმერ უგრეხელიძის ოჯახის წევრების მიერ, ვინაიდან კალათბურთის ახალ სასახლესთან სიახლოვე ქუჩას თემატურ მნიშვნელობას ანიჭებს.

წარმოდგენილი პროექტით უნივერსიტეტის I შესახვევის მონაკვეთი და მასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტი ყალიბდება დამოუკიდებელ ქუჩად, ხოლო უნივერსიტეტის I შესახვევის დარჩენილი მონაკვეთი ხსენებული დამოუკიდებელი ქუჩის (ვ. უგრეხელიძის) I შესახვევად.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა ვლადიმერ უგრეხელიძის შვილი თამარ უგრეხელიძე. მან მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს მამის-ვლადიმერ უგრეხელიძის ღვაწლის დაფასებისთვის და პატივის მიგებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეექვსე საკითხს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის I შესახვევის მონაკვეთს და მასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს კალათბურთელის ვლადიმერ უგრეხელიძის სახელი.

7. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ნინო წერეთლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გენერალ მაიორის, ადმირალის გიგლა ირემაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგებლის ირაკლი ანდღულაძის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს მოქალაქე ნანული ლოლაძეს, რომელიც ითხოვს რომელიმე ქუჩას მიენიჭოს გიგლა ირემაძის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში დაცული ინფორმაციის თანახმად, გიგლა ირემაძე იყო საზღვაო ქვეითი ბატალიონის მეთაური, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალების უფროსი, გენერალ-მაიორი, სიკვდილის შემდეგ მიიღო ადმირალის წოდება. დაჯილდოვებული იყო მრავალი მედლით და ორდენით. 1997 წელს დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით, 1999 წელს ღირსების ორდენით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის, თავდადებული და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მხედრული ვალის მოხდისთვის, 2002 წელს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

როგორც ვეტერანების სახელმწიფო საქმეთა სამსახურმა, ისე თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნაძალადევის რაიონში, ნინო წერეთლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს გენერალ მაიორის, ადმირალის გიგლა ირემაძის სახელი.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა გიგლა ირემაძის შვილი თამთა ირემაძე. მან ისაუბრა გიგლა ირემაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. თამთა ირემაძემ მადლობა გადაუხადა კომისიას სახელდებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეშვიდე საკითხს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, ნინო წერეთლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს გენერალ მაიორის, ადმირალის გიგლა ირემაძის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მარიამ დადიანი-ანჩაბაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მიხეილ ქორიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი გააცნო. კომისიაში შემოსულია სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის კობა კობალაძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპული გმირის მიხეილ ქორიძის სახელი.

ასევე კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე ნინო მელიას მიმართვის საფუძველზე ითხოვს საკადასტრო ერთეულის მიხედვით (81.21.06.897) უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ნაძალადევის რაიონში, მარიამ დადიანი-ანჩაბაძის ქუჩასთან.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მიხეილ ქორიძის სახელი, რომელსაც 1992 წლის 14 აგვისტოს შეუსრულდა 21 წელი, 27 აგვისტოს ომში წავიდა, 30 აგვისტოს სნაიპერის ტყვიით დაიღუპა აფხაზეთში.

მიხეილ ქორიძე დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის".

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა მიხეილ ქორიძის ძმა დათო ქორიძე. მან მადლობა გადაუხადა კომისიას აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული 21 წლის ძმის სახელის უკვდავყოფისთვის.

სხდომას ასევე ესწრებოდა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახუროის წარმომადგენელი ირაკლი ჭანტურიძე. მან აღნიშნა, რომ სამსახური მიესალმება აფხაზეთში ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპული მებრძოლის მიხეილ ქორიძის სახელის უკვდავყოფას.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მერვე საკითხს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, მარიამ დადიანი-ანჩაბაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მიხეილ ქორიძის სახელი.

9. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხევძმარის ქუჩის ორი მონაკვეთისთვის ლევან ჭოჭუას I და II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ლევან აბაშიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილია ხევძმარის ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია.

ხევძმარის სახელი მინიჭებული აქვს პრაქტიკულად დასახლებას და გზათა ქსელი უნდა შედგებოდეს ინდივიდუალურ დამოუკიდებელ ქუჩებად. შესაბამისად უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს არანაირი კავშირი აქ აქვს ხევძმარის ქუჩასთან და გეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ლევან ჭოჭუას ქუჩასთან ორ დამოუკიდებელ ჩიხს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, ხევძმარის ქუჩის ორ მონაკვეთს მიენიჭოს ლევან ჭოჭუას I და II ჩიხის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მაჩაბლის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის გიორგი მაჩაბლის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე იზოლდა ხუციშვილის მიმართვის საფუძველზე ითხოვს საკადასტრო ერთეულის მიხედვით (01.19.31.006.047) უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს გიორგი მაჩაბლის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის გასასვლელს.

მომხრე -ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, გიორგი მაჩაბლის ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს გიორგი მაჩაბლის I გასასვლელის სახელი.

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე